

თავისუფალი უნივერსიტეტი აცხადებს ვაკანსიას **ვიზუალური ხელოვნების, არქიტექტურისა და დიზაინის სკოლის VA[A]DS კოორდინატორის პოზიციაზე:**

ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უპირატესად ჩაითვლება ვიზუალური ხელოვნების, არქიტექტურის ან დიზაინის მიმართულებით მიღებული განათლება და გამოცდილება;
- ინგლისური ენის კარგი ცოდნა;
- კომპიუტერული უნარ-ჩვევები;

ძირითადი სამუშაო მოთხოვნები :

- ვიზუალური ხელოვნების, არქიტექტურისა და დიზაინის სკოლის VA[A]DS ყოველდღიურ საქმიანობაში დეკანისა და პროგრამების ხელმძღვანელის ასისტირება;
- სკოლის/პროგრამების განვითარებასა და მართვის პროცესში მონაწილეობა შესაბამისი სკოლის/პროგრამების ხელმძღვანელებთან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობის საფუძველზე;
- სასწავლო პროცესების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესის მართვაში აქტიური ჩართულობა დეკანთან/პროგრამების ხელმძღვანელებთან და შესაბამის სამსახურთან ერთად;
- პროფესორებისა და ლექტორების საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა;
- სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან მუდმივი აქტიური კომუნიკაცია;
- აკადემიური პროცესების ორგანიზებაში ჩართულობა;
- მონაცემთა ბაზების მართვა და ორგანიზება;
- ღია კარისა და საორიენტაციო/გაცნობითი ღონისძიებებში ჩართულობა და კოორდინირება;
- შემოქმედებითი ტურის ფარგლებში (პორტფელიო/გამოცდა) პროგრამის ხელმძღვანელის/დეკანის ასისტირება;
- სკოლის ინფრასტრუქტურის ზედამხედველობა.

პიროვნული თვისებები:

- მართვის და ორგანიზების უნარი;
- კომუნიკაბელური;
- სწრაფად ათვისების უნარი;
- სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი;
- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
- დროის ეფექტურად განაწილების და გუნდური მუშაობის უნარი;
- კრიტიკული ანალიზის უნარი;
- დამოუკიდებლად მუშაობის უნარი.

საჭირო დოკუმენტაცია: CV და სამოტივაციო წერილი

კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად: პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება CV-ის მიხედვით, მეორე ეტაპზე ჩატარდება ტესტირება ინგლისურსა და ზოგად უნარებში, მესამე ეტაპზე - გასაუბრება. (დაკავშირება მოხდება მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებთან)

ანაზღაურება განისაზღვრება ინდივიდუალური მოლაპარაკების საფუძველზე.

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2022 წლის 1 ივნისი, საბუთების მიღება წარმოებს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

გთხოვთ, წერილის სათაურში მიუთითოთ პოზიციის დასახელება „კოორდინატორი“.
წინააღმდეგ შემთხვევაში კანდიდატურა არ განიხილება.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ელფოსტა: vacancy@Freeuni.edu.ge

ვებგვერდი: www.Freeuni.edu.ge